ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რდუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

შეიძლება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи Дроэба“ — „Иверія“

**„დროება“—„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|
| „დროებისა“ და „ივერიის“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროებისა“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიისა“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ორ-რიგით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება შეიძლება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 21 თებერვალს.** დღეს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გარდაუწყვეტა იმ პირს, რომელმანც გრ. ლორის-მელიქოვის მოკვლა განიზრახა: ის უნდა ჩამოახრჩონ ხვალ, 22-ს თებერვალს, დილით.

**პეტერბურღის ბირჟა, 21 თებერვალს.**

(„ხალხთა-შორის ტელეგრამის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 94 | „ |
| მეორესი | 93 | „ |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 92 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90 | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 12 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 12 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | 78 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 225 | 70 |
| მეორე სესხის | 226 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 28 | პენსი |
| ჰამბურღი | 215 | 70 | ცენტი |
| პარიჟი | 266 | „ | სანტიმი |
| ვენა | „ | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | | | |

## აჯამეთის ტყე

თფილისი, 22 თებერვალს.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენში გავარდა ხმა, რომ თ. მირსკი ჰყიდის აჯამეთის ტყის თავის ნაწილსაო და მეორე მონაწილე ამ ტყისა—ბატ. ონანოვი აპირებს იმის ყიდვასაო.

ამ ამბავმა მთელი იმერეთი აალაპარაკა და არა თუ მარტო აალაპარაკა, ააღელვა კიდეცა. ვინც იცის—თუ რა არის აჯამეთის ტყე, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას იმერეთისათვის, რასაკვირველია, არ გაუკვირდება ის ინტერესი და მღელვარება, რომელიც ამ საგნის გამო აღძრულია იმერეთში.

აჯამეთის ტყე ერთი უდიდესთაგანი და უჩინებულესთაგანი ტყეა, არა თუ მარტო იმერეთში, არამედ მთელს საქართველოში. ის არ არის ჯერ სრულად გამიჯნული, მაგრამ მცოდნე კაცები გვარწმუნებენ, რომ აჯამეთის ტყე ექვსასი ოთხ-კუთხი ვერსი იქნება სივრცითაო (40 ვერსი სიგრძე და 20-ზე მეტი სიგანე).

იმის სიდიდის თაობაზე იმერეთში ლეგენდები არის დარჩენილი: ერთი კუთხიდამ მეორეში გასვლა კაცს არ შეუძლიანო, ბევრ კაცს დაბნევია იმაში გზა და დაკარგულაო, რა მხეციც არ გინდა, იმაში ცხოვრობსო, ყველა გვარ მავნე სულებს აქა აქეთ თავიანთი ბუდეო და სხვ. და სხვ.

რაიცა შეეხება იმის მნიშვნელობას, საკმაო იქნება მოვიყვანოთ, რომ თითქმის მთელი ქვემო-იმერეთი და ერთი ნაწილი ზემო-იმერეთისა ამ ტყით გამოდიან; უამისოთ ამ მხარის ხალხს არ შეუძლიანთ არც სახლის აშენება, არც შეშის შოვნა, არც თითქმის თავის სახლ-კარისა და ეზოის შემოღობვა, არც პირუტყვის ყოლა, რადგან ამაში მოიპოვება ყოველგვარი საშენი და საწვავი ხე-ტყე, საბალახე და სათიბი ადგილები და სხვ.

ამიტომაც ადვილად წარმოსადგენია—რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს ამ უშველებელი ტყის გარეშემო მცხოვრები ხალხი, თუ ამათ მოესპოთ საშუალება თავის მარჩენელ ტყის სარგებლობისა.

ადრე, ჩვენის მეფეების დროს, რამდენათაც ვიცით, არა თუ ეს აჯამეთის ტყე, არამედ საზოგადოთ ყველა ტყეები და საბალახე ადგილები საერო, სახალხო იყო; მართალია, ზოგიერთი ტყეები და საბალახე მთაბარი თუ მეფისა და თუ თავად-აზნაურების საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ხალხი ყოველთვის უფასოდ და დაუბრკოლებლად სარგებლობდა ამითი, არავის არ ჰქონდა უფლება დაეშალა გლეხ-კაცისათვის, რომ რაც კი და რამდენიც კი თავის ოჯახის საჭიროებისათვის დასჭირდებოდა, გამოეტანა ტყიდამ და ესარგებლნა საბალახე ადგილებითა.

შემდეგში, საუბედუროთ, ეს წესი მოიშალა და ახლა თითქმის ერთ ნაკუწ მიწას ვერ იპოვნით ჩვენს ქვეყანაში, რომ საზოგადო, საერო სამფლობელო იყოს, რომლითაც თავად-აზნაურსაც და გლეხსაც ერთად შეეძლოს სარგებლობა. ყველა ტყეებიან სახელმწიფო ქონებად არიან ჩათვლილნი, ან საეკკლესიოდ (ახლა სახაზინოდ) და ან საბატონოთ. გლეხები კი პირში ჩალა-გამოსმულნი დარჩნენ.

აქედგან, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი საჩივარი, დავა, უკმაყოფილება და ზოგან სისხლის-ღვრაც წარმოსდგა, რადგან გლეხებს ვერ წარმოედგინათ, რომ ის საერო ტყე, ის საბალახე ადგილები, რომელთაც ადრე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სარგებლობდნენ იმის წინაპარნი, ახლა, უეცრად, ხაზინის, ეკკლესიისა ანუ მებატონის საკუთრებად გარდაიქცა.

ესვე ისტორია ჰქონდა აჯამეთის ტყესაც: ადრე ის იყო ნამდვილი საერო, სახალხო ქონება რომლითაც მეფე, თავადი, აზნაური და გლეხი ერთნაირად სარგებლობდნენ, შემდეგ ერთი ნაწილი იმისი ხაზინამ ფრან-

## ფელტონი

### ხმა ქუთაისიდამ

ერობა.—კიდევ სააზნაურო ბანკზედ და ახირებული მდგომარეობა ქუთაისელ კორრესპონდენტისა.—ჩვენი ვექილები და ქართლის გაზაფხული.

დადის და დადის დაღვრემილის სახით თავის მაღლობზედ გადმომდგარის სახლის ბალკონზედ ჩემი საყვარელი მოხუცი. დადის და თან კვირობს, ამბობს:

„ეს რა ცეცხლში ჩავარდიო, ეს რა შემართებაო, სად მიყავარ უწყალო ბედის-წერას, რა შავი დღე შემართებაო! კაცი სამოცი წლის მეტი შევქნილვარ, ამოდენი პატივი დამიმსახურნია, ჩინი და ორდენები უკლებლათ მიმიღია, სოვეტნიკობისთვისაც ხელი შემივლიაო და ეხლა შეხეთ, ვიღაცა ოხერი მოთრეულა და ბატონურათ ღრიალებს: გადი აქედგან, თორემა ეხლავე პროტოკოლს შევადგენ და სატუსაღოში ჩაგაგდებო! დახეთ, ამას მოესწრა ჩემი ჭაღარა თმები, შერცხვენა, ლაფის დასხმა, შეურაცხყოფა დამიხვდა უკანასკნელს ცხოვრების შარაზედ!“

დიაღ, ჩემო კეთილო მოხუცო, არამც თუ შენ, რომელსაც ასრე ტკბილად გაგიტარებია თავისი დრო, მეც ცხოვრების გამოუნაცადს გული მისკდება, ოხვრით გიგონებ, მაგრამ იცი რისი მიზეზია ესა?

მიზეზი დიდია. თქვენ ეხლა თხოულობთ პატივისცემას, დაფასებას და ყურადღებას იმათგან, რომელნიც სრულებით ვალდებულნი არ არიან; თქვენ გინდათ დაგაფასოს ვიღაც მოსულმა, უცნობმა, რომელსაც თვისებაც არაფერი აქვს თქვენთან, რომელსაც არამც თუ გამარჯვება არ უთქვამს თქვენთვის, არამედ მისი ბუნება, მთელი მისი არსება მოითხოვს თვით შენი ქვეყანა, შენი მამული, სძულდეს.

მაშ რისთვის მწუხარებ, ჩემო ჭაღარა-თმიანო, რათ სწყევლი შენს ბედს, რათ ემდურები ქვეყანას! და თუ ემდურები ამ წყვდიადს, ჰგავს საჩივლელი რამ გქონია თვით საჩივრის განცხადება ამტკიცებს შენს ცოდვიანობას.

და მარტო ხვნეშით კი არ კმაყოფილდები, შენს ჯავრს ჩემო მოხუცო, ჩვენზედ იყრი, ჩვენ, ახალგაზდებს, მოგვდგომიხარ და ჰყვირით: თქვენ რასა შვრებით, თქვენ რატომ არ დაგვაყარეთ სიკეთე, თქვენ რატომ არ გაანათლეთ ქვეყანა, რატომ ერთიანებ არ შეცვალეთ ეს ცუდი დრო, რატომ ლუკმა პირში არ ჩაგვიდევით?!

მაგრამ მე რომ ახალ-გაზდა ვარ, მე რომ შენი შვილი ვარ, მაგალითებრ, შენის მოყურადე, შენის წარსულის და აწ მყოს იმედით თუ ვცოცხალვარ და ვიმედოვნებ, მე რა უნდა ვთქვა? მე რა საჩივარი უნდა განგიცხადოთ თქვენა, თქვენ, ჩემნო მშობელნო, თქვენ, ჩემი მამულის შვილნო, დიდო კოლხიდელო, მეგრო კორრესპონდენტო, გაქარხალებულო ლოყებიანო კონსტანტინე, დიდო მარშალო პატარა პოლკოვნიკო, ზიგო ზემოურო, სიკო ძლიერარაე, ბახუ სათვალებიანო, ირაკლი მჭევრ-მეტყველო, გურიაში ერთხელ განთქმულო სტუმართ მოყვარეო დიდო დიმიტრიევ და ლევან მთავართ მეგვარენო და თქვენ კაცხელნო და თქვენ გურიის მთიულნო და თქვენ, ლეჩხუმელნო და თქვენ რაჭველნო, თქვენ რა საუბარი უნდა გაგიწყო! რამდენი საყვედური უნდა გითხრათ!!!

თქვენ რომ ეგრეთი ქიშპობა და მტრობა გაგიჩენიათ ერთი-მეორეში, თქვენ რომ ერთი ადლის მიწისთვის ერთი-მეორეს თავს აჩეხთ, ერთს ჭიქა ღვინოზედ რომ მთელი თემობა თემობას ომს უცხადებთ, თქვენ რომ ეგრეთს მაგალითს გვიჩვენებთ ჩვენ რაღა უნდა ვქნათ? ცხოვრება თქვენ გამოგიცდიათ, უცხოს თქვენ შეხვედრიხართ, უცხოეთი თქვენ დაგივლიათ და დამოყვრებიხართ და ამ გამოცდილებამ, ამ ჭაღარა თმებმა, თქვენმა მაღალმა შუბლმა, რომელს მე ესრე ხშირად ვეამბორები, თუ ეს გვიანდერძა, ჩვენ რა გვეთქმის, ჩვენ ჯერ ტუჩ-მოუშრობელთა, ცხოვრების გამოუნაცადთა?

ჩემს ცხოვრებას ისრე ვატარებ, ბრძოლას მიტომ ვერ დავხწევიეარ, რომ თქვენს ლოდინში, თქვენის იმედით ვცოცხალვარ, თქვენ გეტრფიალებით....

და თქვენ დაგიკრეფიათ ხელი, ერთი სად არის და მეორე სად. რაც დრო მიდის, სხვა და სხვა გაჭირვება ყელს გვეხვევა თქვენ და თქვენ შვი-

ცუზს ზამბას მისცა საკუთრებად; შემდეგ მეორე ნაწილი მაშინდელ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თ. სვიატოპოლკ-მირსკის აჩუქეს, მესამე ნაწილიც თ. ბრუზინსკის უბოძეს, და ამ ნაირად მთელი ეს შეუვალი და თვალ-გაუწვდენელი ტყე სამი პირის საკუთრებად გარდაიქცა. . . . .

ახლა, როგორც ზევით მოგახსენებთ, ლაპარაკი არის იმაზედ, რომ თ. მირსკი თავის ნაწილს აჯამეთის ტყეს ჰყიდისო.

ადგილობრივ გაზეთებმაც ამოიღეს ამ საგანზე ხმა: გაზ. „ობზორი" ჩვენ სადგილ-მამულო ბანკების მმართველობას ურჩევს, შეადგინონ აქციონური კამპანია, შეისყიდონ თ. მირსკისაგან ეს მამული და ამ ნაირად გაუადვილონ ხალხს ამ ტყით სარგებლობა.

„ტფილისის მოამბის" აზრით, ამ საქმეში საჭიროა მხოლოთ მოთავე, რომელმანც ადგილობრივ სოფლის საზოგადოებათ უჩვენოს გზა და წინ წაუძღვესო; თუ ამისთანა კაცი ამოჩნდება, თვითონ სოფლები შეისყიდიან ამ ტყესაო, რადგან უამისოთ გაძლება არ შეუძლიანთ.

ჩვენის აზრით, ერთიცა და მეორეც შემცდარი არიან. აქციონური კამპანიის შედგენა ძნელია, და არც მოეთხოვება ეს ჩვენ სადგილ-მამულო ბანკების გამგეობათ; ამათ ისიც ვაკმაროთ, იმისთვისაც დიდი მადლობა შევსწიროთ, თუ თავიანთი პირ-და-პირი მოვალეობა კარგათ შეასრულეს. ამას გარდა, ჩვენში ადვილია განა სააქციონერო მამულის მმართვა და გაძღოლა?

რაიცა შეეხება „ტფილისის მოამბის" აზრს, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ მართლა ეს მამული თვითონ ხალხს შეესყიდა. მაგრამ ვინ მისცა ახლა ჩვენ სოფლის ხალხს იმდენი საშუალება, რომ ნახევარი მილიონი ფული ამოიღოს ჯიბიდამ და ტყის პატრონს ჩააბაროს?

ამიტომაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ რამდენიც შეუძლიან ხალხმა გამოიღოს და რაც დააკლდება, ხაზინამ მოუმართოს ხელი. ჩვენ გვგონია, რომ თუ აჯამეთის ისტორიას მოვიგონებთ, მთავრობას მოვალეობაცა აქვს, რომ გაუადვილოს ხალხს ხელ-ახლად დაბრუნება იმ ქონებისა, რომელიც ადრე თითქმის იმის საკუთრებას შეადგენდა.

როგორ, რა პირობით დაეხმარება ხაზინა ხალხს „გამოსყიდვის მოწმობის" საშუალებით, ნაღდი ფულის სესხებით, თუ სხვა რამ ღონის-ძიებით—ამის განხილვაში ჩვენ ახლა ვერ შეეალთ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მთავრობას შეუძლიან, რომ ის უნდა დაეხმაროს ხალხს, რომ ამას მოითხოვს თვითონ იმისა და ხალხის პირ-და-პირი ინტერესიც.

ყველაზე უფრო სანატრელი და სასურველი კი ის არის, რომ აჯამეთის ტყე ვისმე კერძო პირს ანუ უცხო ქვეყნის აქციონურ კომპანიას არ ჩაუვარდეს ხელში.

---

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყვეთ სარწმუნო კაცთაგან, რომ იმ კომმისიას, რომლის თავ-მჯდომარედ დანიშნულია ბატონი პეშჩუროვი დამშეულთა შემწეობისათვის, უყიდნია რუსეთში ორას-ორმოც-და-ათი ათასი ფუთი პური საქართველოში გადმოსატანად. ამ პურიდამ ორმოც-და-ათი ათას ფუთს ამ დღეებში მოელიან ოდესიდამ ქალაქში. ეს პური დამოქნაში იქნება დაწყობილი და გაიყიდება იმ ფასად, რა ფასადაც მსყიდველებს დაჰჯდომიათ. უეჭველია, რომ ეს ამბავი ძალიან დაჰსწევს აწინდელს ფასს პურისას.

* * *

ჩვენს ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია ორი ტელეგრამმა, რომელიც დ. მ. კავკასიის ნამესტნიკისაგან მოსულია იმის დროებით მოადგილეს თ. ლევან ივანეს-ძეს მელიქოვს 19 თებერვლის დღესასწაულის შესახებ.

პირველის ტელეგრამმით დიდი მთავარი ხელმწიფის მადლობას უთვლის ტფილისის ქალაქის საზოგადოებას მილოცვისა და იმ შეწირულებისათვის, რომელიც ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა ამ დღის სახსოვრად.

მეორე ტელეგრამმით ნამესტნიკი უთვლის აგრეთვე ხელმწიფის მადლობას: ტფილისის გრენადერის პოლკს, რომელმანც 6,000 მანეთი მოაგროვა იმ განრზრახვით, რომ ამ ფულის სარგებლით ტფილისის რომელსამე საშუალ სასწავლებელში ორი შაგირდი გაიზარდოს აფიცრის შვილთაგანი; და ლეჩხუმის უეზდის სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ 19 თებერვლის სახსოვრად, თითოეულ ამ სოფელში გამოისყიდონ თითო ღარიბი გლეხის ნადელი და საკუთრებად ჩააბარონ.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმ კომიტეტს, რომელიც „ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" შკოლის მზრუნველად არის დანიშნული, რაღაც მიზეზის გამო, დაუთხოვნიათ ამ დღეებში ინსპექტორი, ერთი მასწავლებელთაგანი და ეკონომი—ქალი ამ სასწავლებლისა. ამ ნაირად, თითქმის მარტო ერთის წლის განმავალობაში, შკოლა ოთხ ინსპექტორს იცვლის. ამ გარემოებას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექმნება ყმაწვილების სწავლის საქმის მსვლელობაზედ; ამიტომაც სასურველია, რომ ეს ერთად-ერთი ჩვენი შკოლა ისეთს წესზე დააყენონ, რომ ამ მხრით მაინც დაბრკოლება არ ჰქონდეს იმაში მოსწავლე ყმაწვილებს.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ ერთი აკტიორთაგანი ჩვენი ტრუპპისა ბატ. ცაგარელი—ავტორი კომედიისა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!" დრამმას სწერს ამ ჟამადაო.

* * *

ჯანჯულაზოვის გაკოტრებამ, გაზეთის „ობზორის" სიტყვით, ორი სხვაც გააკოტრა, ერთი ვიღაც ბაზაზხანის ვაჭარი (30,000 მანეთით) და მეორეც ბატ. ზარსოევი.

* * *

დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა 1,500 მანეთი შესწირა იმ ახლად დაარსებულ საზოგადოებას, რომელიც ტფ. გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად არის შემდგარი.

* * *

გაზ. „კავკაზში" დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა:

„კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველისაგან დანიშნულია ცალკე კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს—თუ რა გვარი სახელოსნო სასწავლებლები ეჭირება ამ ჟამად ჩვენს მხარეს. ეს კომისია, რომელიც მხოლოდ მასწავლებლებისაგან შესდგება, მალე გაათავებს თავის საქმეს.

მერე ამავე კომისიაში მოწვეული იქნებიან აგრეთვე გარეშე პირებიც,

---

ლებსაც, ჩვენნო იმედნო. იქ შიმშილია, აქ პირუტყვი წყდება, აი იქ გადალმით დიდი ჭირია, ბავშვები უსწავლელები რჩებიან, თქვენი ძმა ამხანაგები უმიწო-წყლოთ ლამის სიკვდილს მიბარებულან, გზა თქვენ არა გაქვთ და სახლი, ქალაქს და მის ვაჭრობას მოკლებულნი ხართ, წელს რომ დღე მეტი წელიწადია, ხვალ დღე-ნაკლული იქნება თუ არა,—ეს არც თქვენ იცით და არც ჩვენ!!!

რატომ არ გამოსულხართ, რათ არ ეხწევით ცხოვრებას, რათ გვტოვებთ, რათ გინდათ დაგვამარტოოთ უბრალოთ ბრალდებულები თქვენი მონანი?!

იცით რა წამალია ყველა ამ სენის?

ერობა და ერობა.

ამის მეტს თქვენ ვერას მოგთხოვს. ქალაქებს მიენიჭა თვით მართველობა, ქალაქები ზომავენ როგორც თავიანთ მამულ-დედულს, თუ შემოსავალ-გასავალს, ეგრეთვე თავის წარსულს და მომავლის დროთა ვითარებას და თქვენ რას შვრებით ამ სოფელს!!

რაც უნდა იყოთ, როგორც უნდა გულ-გრილად შეყურებდეთ ამ სოფელს, ჩვენ მაინც ვალი გვაქვს მოგთხოვოთ ყველაფერი, რაც უნდა გეანდერძებინათ, მით უფრო რომ მომავალში ჩვენც მოგვთხოვს ჩვენი მომავალნი, ისინიც იგრე გადაათვალიერებენ ჩვენს სიგელებს, როგორც ჩვენ თქვესას.

„დიახ, ეს დახშული კარებიაო"—ამბობს დიდი პოეტი, მაგრამ უნდა გაიაროთ ეს კარები, უნდა გამოსცადოთ, ეს სოფელი სოფელს უნდა დაამსგავსოთ.

* * *

ჩემმა პირველმა „ხმამ ქუთაისიდამ" აქ დიდი, დიდი მღელვარება მოახდინა. თითქმის მთელი ქუთაისი შეიძრა, ბანკის მმართველობა და მისი კომიტეტი ვინ იცის რა ახირებულს მდგომარეობაში ჩავარდა; ერთი დამფასებელთა კომისიის მწევრიც გამოისტუმრეს სამსახურიდამ მის გამო.

მაშინ მე ისრეთის სიწყნარით და ლმობიერებით მოვიხსენე ბანკის საქმეები, რომ ყველას გაუკვირდა—თუ რას უნდა აეძულებინა ბანკის გამგენი ამ ნაირს მოქმედებაზედ. ვერავის ვერ გაუგია ეს დახლართული საქმე.

ამის გამო მე საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ჩემი „ხმა ქუთაისიდამ" ერთი სიტყვითაც, ერთი კალმის მოსმითაც არ შეეხება პირადობას, არავის არ გალანძღავს, არც არავის მიაყენებს შეურაცხყოფას. მე ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში ფაქტებს მოვიხსენიებ და იმ ფაქტებზედ ვიბაასებ, რომელნიც, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ, ვიმეორებ, საზოგადოებისთვის საინტერესონია, სამძიმოა თუ სასიხარულო—ეს სულ ერთია.

ბევრს არ გავაგრძელებ ამაზედ მუსაიფს. მე მხოლოდ ერთი ფაქტიც დამიმატებია უწინდელს ნაწერებზედ:

რომ, როცა მოკლე ვადიანს მსესხებლებს შარშან ათი პროცენტის მაგივრათ რვა გაუხადეს, მაშინ ბანკის დამფუძნებლებისთვის, ე. ი. თავად-აზნაურობისთვის კაპეიკი არ მოუკლიათ რა სარგებელსაც უწინ იხდიდნენ, ისევე დასტოვეს! ეს არ ნიშნავს განა სოფლის ხალხის ინტერესების დავიწყებას და ქალაქების შეწევას, ეს არ ნიშნავს განა ბანკის დამფუძნებელთა, თავად-აზნაურობათა უყურადღებობას?

* * *

ახირებულს მდგომარეობაშია ქუთაისში კორრესპონდენტი: შეიტყობ თუ არა რაიმე ფაქტს, გინდა აი იმ წამსვე გინდა გაზეთში გამოაცხადო, გინდა ქვეყანა იყოს იმის მოწამე, გაიხედამ სხვა გაზეთში დაუბეჭდავს, უცნობებია საზოგადოებისათვის კიდეც. მოსწრებაზედ არის საქმე.

მაგრამ რა ნაირათ უნდა მოასწრო, არ იცი, მე კვირაში ერთხელ ვწერ წიგნს და საზოგადოების ცხოვრება კი წუთისა არის, ყოველს მინუტში და წამში რაიმე მოევლინება ჩვენს ქვეყანას, ყოველს წამს რამე მოხდება,—რას მოასწრებ!

ამ წერილისთვის ვამზადებდი უფ. ფალავას საქმის გამოცხადებას, მე მისი სახელის გამოცხადებასაც არ ვაპირებდი, ესეც იმის დამტკიცებაა თუ რამდენათ წინდახედული და წყნარი კორრესპონდენტი ვარ, მაგრამ რაკი „ობზორმა" გამოაცხადა, მე რა უნდა ვქნა.

დიაღ, ალმიარებია მეც, სწორეთ მაგრე გაგვაკვირვა ყველანი; უფ. ფალავას არც ეკადრებოდა, არც ზნეობითი მხარე მოითხოვდა მისი მხრით, რომ ვითარცა ხმოსანს, ვითარცა ქა-

რომელთაც ამ საგანში რამ გაეგებათ, ანუ ჩვენი ქვეყნის გარემოებას ანუ საჭიროებას იცნობენ. ეს ახალი კამისია, სხვათა შორის, მოილაპარაკებს სავაჟო და საქალებო სახელოსნო შკოლებისა და უმაღლეს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გახსნაზედ ტფილისში. შემდეგ კომისიის გარდაწყვეტილება დაიბეჭდება იმ განზრახვით, რომ ადგილობრივ გაზეთებმაც გამოსთქვან ამაზედ თავის აზრი და ბოლოს უფ. იანოვსკის წარედგინება“.

* * *

19 თებერვლის დღესასწაულის სახსოვრად, როგორც გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, კავკასიის ნამესტნიკის მთავარ მმართველობას შეუდგენია ხელმწიფისათვის მისართმევად კავკასიის მხრის სტატისტიკური აღწერა, რომელშიაც დაწვრილებით არის მოხსენებული ყველა დაწესებულებანი და ყოველგვარი წარმოება ჩვენის მხრისა. სულ სამი ეგზემპლიარი არის შედგენილი ამ წიგნისაო და ერთი ამათგანი მოიპოვება აქაურს საზოგადო ბიბლიოთეკაშიო.

* * *

ესეც მეორე მაგალითი იმისი,—თუ როგორის თვალით უყურებენ და როგორ ეპყრობიან ჩვენში გაზეთის კორრესპონდენტებს:

ამას წინათ აბაშის სტანციიდამ ერთი პატარა შენიშვნა იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იმის თაობაზედ, რომ აქაური შკოლის მასწავლებელი ცოტა არ იყოს კოჭლობსო, სუსტად ეკიდება თავის მოვალეობასაო და სხვ.

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ წერილი ხსენებულის სტანციიდამ, რომ ამ ამბის მომწერი კორრესპონდენტი თავის მთავრობამ სამსახურიდამ დაითხოვა ტყუილის ცნობის მოწერისათვისაო!

ჯერ ერთი ეს უნდა ვიკითხოთ—საიდამ შეიტყო იმ „მთავრობამ“, რომ ნამდვილათ ის დათხოვნილი პირი იყო ამ ამბის მომწერი რედაქციაში, და არა სხვა ვინმე? მეორე, თუ მართლა ტყუილი ამბავი მოიწერა, განა სხვა საშუალებით არ შეიძლებოდა ჭეშმარიტების აღდგენა?...

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**დაბა ყვირილა**, 19 თებერვალს. ორშაბათამდე არავის ნამდვილად არ შეუტყვია—იქნებოდა თუ არა ოც-და-ხუთი წლის იუბილეის დღესასწაულობა ხელმწიფე იმპერატორისა; ორშაბათს მოვიდა ტელეგრამმა გუბერნატორისაგან ამ დღის დღესასწაულობაზე.

დღეს მრავალი ხალხი შეიკრიბა ჩვენს ყვირილის ეკკლესიაში; დაესწრენ ყველა ახლო-მახლო მყოფნი მამასახლისები. წირვის გამოსვლის შემდეგ მღვდელმა ლამბაშიძემ სთქვა სიტყვა, რომელშიაც ჩამოთვალა ყველა ის შესანიშნავი ცვლილებები და რეფორმები, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორმა მოახდინა ამ 25 წლის განმავლობაში:

შემდეგ პარაკლისის გარდახდისა ხალხი წავიდა ყვირილის ორ-კლასიან შკოლაში. აქ იყვნენ ყველა შაგირდების მშობლები, ჩინოვნიკობა და სხვა ხალხი. აქაც ორიოდე სიტყვა უთხრა შეკრებილ საზოგადოებას მღ. ლამბაშიძემ; მისცა წინადადება ხალხს ქალების შკოლის გახსნისა დაბა ყვირილაში, იმ სტანციის სახლებში, რომელიც მთავრობამ დაუთმო უფასოდ ყვირილის ნორმალურ შკოლას; აუხსნა მათ საჭიროება ქალების აღზრდისა და სხვა...

ამავე საგანზევე სთქვა რამოდენიმე სიტყვა ბატ. მაზრის უფროსმა ეფიმოვსკიმ, და შემდეგ აიღო ხელმოსაწერი ქაღალდი ფულების შესაწირავისა ქალების შკოლის სასარგებლოდ და მოაწერა ხელი ხ უ თ მ ა ნ ე თ ზ ე და ფულიც იქვე წარმოადგინა. მ. ლამბაშიძემ თავის მხრით შესწირა ამ კეთილი საქმისათვის ხ უ თ ი თ უ მ ა ნ ი. ამათ გარდა მრავალმა პირმა მოაწერა თითო თუმანზე ხელი, ასე რომ ამ დღესვე შეიკრიბა 200 მანეთამდი.

ერთის სიტყვით, დღეს გაისკვნა საფუძველი ამ კეთილის საქმისა და იმედია სისრულეში მოიყვანენ.

საღამოს სახლები და დუქნები იყვნენ განათებულნი. დღისით . . . . . . . . . . . , ათას ნაირი ბაირაღები იყო სახლის თავებზე დასობილი. ბევრი ტაშბაჩების სროლა და სხვ...

მეტის-მეტად მოწადინე იყო ხალხი ზურნა ეშოვნათ და ამისთანა დღესასწაულ დღეს იმის ხმით დამტკბარიყვნენ, მაგრამ, ამბობენ, მთავრობა ნებას არ აძლევს ზურნის დაკვრისასო და ვერ იშოვეს...

დღესვე დაარსდა აქ ერთი კეთილი საზოგადოება: გაიხსნა ტფილისის „ცხოველებთა შემბრალე საზოგადოების“ განყოფილება. ეს განყოფილება დაარსდა ერთი ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებლის პეტროვის თაოსნობით. ამ განყოფილების სამართველოში თავსმჯდომარედ აირჩიეს უფ. უეზდის უფროსი ეფიმოვსკი, მის თანაშემწეთ მღ. ლამბაშიძე; სეკრეტრად თოფურია, მასწავლებელი ყვირილის შკოლისა, და ხაზინადრად პრუდნიკოვი(?), მეორე გილდის ვაჭარი.

N.

## უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** რუსულსა და ნემეცურს გაზეთებში ბევრს იწერებიან ამ ჟამად ერთის მხრით იმ გარემოებაზედ, რომ რუსის მთავრობა პრუსიისაკენ თავის სამხედროებს ამაგრებსო და მეორეს მხრით იმ სამხედრო კანონის თაობაზედ, რომლის დამტკიცებასაც გერმანიის მთავრობა სთხოვს პარლამენტს და რომელიც გერმანიის ჯარების მომატებას შეეხება. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ცოტა არ იყოს ფრანცუზული გაზეთებიც აალაპარაკა, რადგან ერთს ვენის გაზეთში სწერდნენ, რომ გერმანია რუსეთთან და საფრანგეთთან საომრად ემზადება და იმიტომ აძლიერებს თავის არმიასაო. მაგრამ ბისმარკის მომხრე გაზეთები არწმუნებენ ქვეყანას, რომ არავისთან ბრძოლის აზრი არა გვაქვს ჩვენ განზრახვაშიო, მშვიდობიანობის დაცვა ჩვენზე უფრო ევროპის არც ერთს სახელმწიფოს არა ჰსურსო და სხვ.

რუსული გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ იმდენი საქმეები გვაქვს ახლა შინ, ჩვენს სახელმწიფოში, რომ გარეშე საქმეებზე თვალ-ყურის ჭერა და ნამეტურ ვისმესთან ბრძოლის დაწყება აზრათაც არ მოგვივა.

— ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული ცნობა, რომ ოსმალეთის მთავრობა აპირებს არზრუმის გამაგრებას იმ განზრახვით ვითომც, რომ მცირე აზია დაიცვას ამ მხრით რუსეთისაგან.

—მოლაპარაკება საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა, ახალ სამზღვრების შესახებ, ჯერაც არ დაბოლოებულა და, ამბობენ, გაზაფხულამდინ არც კი

---

ლაქის დამხმარებელს, მის კეთილდღეობისთვის მოსურნებულს, წინაამდეგ ქალაქის ინტერესისა წასულიყო. ქალაქს მიწა წაართვა თურმე, როგორც მართველობა ამტკიცებს ბატ. ანდრონიკოვმა, ამაზედ ქალაქი უჩივის ანდრონიკოვს და ბატ. ფალავა ვექილად დაუდგა ანდრონიკოვს, ე. ი. ქალაქის რჩევის ხმოსანი ქალაქის შეძენის წინაამდეგ წავიდა! არ ეკადრებოდა; ამას მისი ფიციც ეწინაამდეგება, თუ სხვა არა.

* * *

რაკი ადვოკატებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი მეც ბევრს რამეებს ვიტყოდი, ბევრს ფაქტებს მოვიყვანდი, მაგრამ მეშინია, პირადობა არ შემწამონ!

და თუ შენ, ძვირფასო მკითხველო, დამეთანხმები, რომ ზოგიერთი მოქმედებები ჩვენის ვექილებისა საზოგადოებასაც შეეხება, ბევრი შემთხვევაა, რომ ცუდს ვექილს ბევრი ზიანი მოუტანია საზოგადოებისთვის, მით უმეტეს მაშინ, როცა ვექილი მარდი კაცია, ადვილათ შეუძლია კაცი დაინდოს, მოატყუილოს, მაშ ესენი ხომ დააზიანებენ საზოგადოებას.

მომცემთ ნებას ვილაპარაკო ამაზედ?

თუ პირობას მომცემთ, რომ ჩემი ნათქვამი სიტყვა მათზედ პირადობათ არ ჩაითვლება, მაშინ შემდეგ წერილში ვეცდები რამეები მოგახსენოთ.

და, ეხლა გაკვრით ამას გეტყვით:

იმას ნუ იფიქრებთ, რომ სხვებს შეეძლოს იმ ნაირათ ერთი მეორესი ლანძღვა, რასაკვირველია, ჩუმათ, როგორც ვექილებს შეუძლიანთ; ენა ხომ ბასრი აქვთ. დარწმუნდით, რომ, თუ რომელიმე ვექილზედ ხმა არის დავარდნილი, ამან ორივე მხრისგან ფული აიღოო, იმან საქმეები მოაპარვინა სუდიდამაო და სხვანი და სხვანი, სულ ესეები ერთი მეორის ქიშპობის, სიძულვილია და წინაამდეგობის წყალობით ეტყობილობთ ჩვენ. ერთის მხრით არც არის საზარალო საზოგადოებისთვის ამ გვარი ამათი ქიშპობა...

მაგრამ ამ ნაირი შემთხვევაები, მაგალითებრ, როგორც ერთის ვექსილზედ ორჯერ ფულის მიღება ვექილის მხრით, ანუ უზომო ფულის აღება უბრალო საქმისთვის, ეს ხომ სენადა-სენი ზოგიერთის ჩვენის ვექილებისა.

ამის გამო ბევრჯერ მომხდარა, რომ აქაურს ვექილებს აღეკრძალათ სამსაჯულოში სიარული და საქმის დაცვა, ბევრი გამოუგდიათ კიდეც სამსაჯულოდგან, მაგრამ ესეები რა უნდა იყოს, დღეს გამომაგდეს, ხვალ ხელ-ახლავ შევძვრებიო, ამბობს დაიმედებული ვექილი.

მოგეცათ სიცოცხლე, მაგისთანა „ატუნკატებს“ და საზოგადოთ ვექილებს აქაურის ოლქის სასამართლოის თავს-მჯდომარე სიცხეს აძლევდეს. ასეთს-ასეთს შეუყვირებს ხოლმე, რომ ძმარს ადენს ცხვირში ხოლმე. ბევრი ტიტინია და გამოუცდელის ყბედობა ვთქვათ მჭევრ-მეტყველობისათვის, იმას არ უყვარს; გეყოფათ, გეყოფათო, შესძახებს ზარის ხმით და საწყალს ჩააქმენდინებს ხმასა.

* * *

თქვენში, ჩემო ქართლელებო, თოვლი კიდეც გამდნარა, მწვანეს თვალი გამოუჭყეტია, ცხვრის ფარეები გარეთ გამოურეკიათ, ხარებს ამზადებენ, ვაზებს სხლავენ. მაშ ცოტა ხანს შემდეგ ვაზი ატირდება კიდეც, ცრემლებს დაღვრის.

მაგრამ ტირილია განა ესა?

გაზაფხულის დილას, რომ ბულბულები სტვენას დაიწყებენ და ესრეთის სიამით გულს ატკბობენ, დილით ცის რიჟრაჟზედ რომ ესრეთი გალობა მოისმინოს სხვა-და-სხვა ფრინველებისა, მიჯნური რომ საყვარლის გულზედ ცრემლებს ღვრის, ნუ თუ ესეც ცრემლების ღვრაა, ტირილი და მწუხარება!

არა, ჩემო მკითხველო, ეს სიამოვნებაა, ეს მხიარულებაა, ეს გაზაფხულის მოახლოვების ნეტარებაა, ტრფიალი, და განუსაზღვრელი გულის ღიმილი.

ჩვენში თოვლი არ ამდგარა ჯერ, მაგრამ ვაი იმისთანა გაზაფხულს, რომელიც ჩვენ მოგველის; რამდენი ბუდეები, მიწა-მძრომელები ამოჰყოფენ თავს, როგორ აშმორდება ქვეყანა, როგორ აირევა იმერეთი! ჩვენ თქვენის ბედისა კი არ ვართ, ჩემო ქართლელებო....

„ნემო“.

18-ს თებერვალს.

დაბოლოვდებაო, რადგან ინგლისი ურჩევს ოსმალეთსაო, რომ ნურაფერს დაუთმობო.

# ნარევი

ფერების გარჩევა. თუმცა სიბერეში კაცს თვალთ აკლდება, მაგრამ კაცობრიობა, რაც უფრო მეტათ ბერდება, იმდენი თვალი უკეთესათ უჭრის. ინდოეთის ძველის თხზულებებიდამ სჩანს, რომ ძველს დროში თვალს მხოლოთ ორის ფერის გარჩევა შეეძლო: შავისა და წითლისა.—მხოლოთ რამდენსამე ხანს შემდეგ შეეჩვივნენ ყვითელის ფერის გარჩევას და მასუკან მწვანე ფერისასაც. ზოგიერთს უძველესს ენაში სიტყვას ყვითელს მწვანესაგან ვერ არჩევენ და ცხადია, რომ რაკი სიტყვა ერთი ყოფილა, ამ ორი ფერის წარმოდგენაც ერთი უნდა ჰქონოდათ. ბერძნების ძველს თხზულებებში კაცი ვერ შეხვდება ლურჯისა და ლაჟვარდის ფერის სახელს, სჩანს, რომ იმ ძველს დროში ამ ფერების გარჩევა ვერ შეუძლიათ.

* * *

თაგვის-დამჭერი ბავშვი. ერთს ამერიკის გაზეთში სწერია, რომ პენსილვანიაში ერთს სახლობას საკვირველი ბავშვი ჰყავსო ეს ბავშვი წლი-ნახევრის ქალია მაგრამ ვერცერთი კატა ვერ შეედრება, იმას თაგვისდაჭერაში. გამოიღვიძებს თუ არა ესბავშვი, მიდის პურის ზედელში და იქ უცდის თაგვების გამოსვლას. თაგვს რომ დაინახავს, უეცრათ მივარდება, იჭერს და გახარებული იწყობს თამაშობას. თუ მოინდომა ვინმე ამ თაგვის წართმევა, ბავშვი მაშინათვე კბილებით მივარდება თავის ნადირს და ხელ-ფეხის ქნევით ცდილობს, თავიდამ მოიშოროს თავის შემაწუხებელი.

* * *

პლექის წამალი. ამას წინათ დოქტორმა როკიტანსკიმ გამოაცხადა, რომ მე ვიპოვნე ისეთი საშუალება, რომელიც ჭლექს ადვილათ არჩენსო. ეს ჭლექის წამალი არის ერთგვარი ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ბენზოის მჟავე ნატრი ჰქვიან. პირველში ამ წამალს ძალიან ეტანებოდნენ, მაგრამ ესლა ერთმა ავსტრიელმა ექიმმა დაამტკიცა, რომ, თუმცა ახლათ გამოჩენილს ავათ-მყოფობას ეს წამალი რგებს, მაგრამ ძველს სიჭლექეს თუ არას ავნებს, რგებით ვერაფერს არგებსო.

# განცხადებანი

**საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცხადებს, რომ ის უნიშნავს **ოთხს ჯილდოს** იმათ, ვინც კი შემდეგს სახელმძღვანელოებს შეადგენს სასოფლო შკოლებში სახმარებლათ.

1. **ას ორმოც-და-ათ მანეთს** ელემენტარული არითმეტიკის შემადგენელს.

2. **სამას** მანეთს პირველ-დაწყებითი გეოგრაფიის კურსის შემადგენლს.

3. **სამას** მანეთს საქართველოს ისტორიიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

და 4. **ორას** მანეთს ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

შემადგენელები არ უნდა დაბრკოლდნენ ამ სახელმძღვანელოებში სახმარებელის სურათების შესახებ, რადგან მმართველობა თითონ იკისრებს ამ სურათების დაბეჭდვას.

ჯილდოს მიღება ვისაცა სურს, თავისი სახელმძღვანელო უნდა წარმოადგინოს 1 თებერვლამდე 1881 წ. თითონ სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთს პაკეთში და ზედ ტეზისი ეწეროს რამე. მეორე პაკეთში იქნება სახელი და გვარი შემადგენელისა და იგივე ტეზისსი. ჯილდო მიეცემა იმ ავტორს, რომლის თხზულება სხვებზე უკეთესი აღმოჩნდება.

(9—1)

---

**თფილისის სობერანიაში**

კვირას, 24 თებერვალს

დანიშნულია **ბალი-მასკარადი**

# დამშეულთა

სასარგებლოთ.

მწევრები და კანდიდატები სობრანიისა თავიანთ ოჯახებით იხდიან შესვლისათვის თითო მანეთს როგორც ქალზე, ისე კაცზე. გარდა ამისა ამ ბალ-მასკარადში შეუძლიანთ იყვნენ, როგორც სტუმრებთ, მუდმივ თფილისის მცხოვრებლებს ამ ფასით: კაცზედ 2 მან; ქალზე 1 მან. ქალები, რომლებიც არ ეკუთვნიან მწევრების ან კანდიდატების ოჯახებს, უნდა იყვნენ მასკებში ბალის გათავებამდის; იმ ქალებს კი, რომლებიც ეკუთვნიან მწევრების ან კანდიდატების ოჯახებს, შეუძლიანთ იყვნენ უმასკოთ- კაცები უნდა იყვნენ: აფიცრები — მუნდირში, სტატსკები, რომლებიც ითამაშებენ — ფრაკში ან ადგილობრივ კოსტიუმში, რომლებიც არ ითამაშებენ — შავ ტანისამოსშიდ.

ბილეთების აღება შეიძლება სობრანიის შვეიცართან. ბალი დაიწყობა სადამოს ცხრა საათზედ და გათავდება ორ საათზე.

(2—1)

---

სომეხთ ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, მომავალ მარტის 12-სა სადამოზედ 7 საათზედ არის დანიშნული **ტორგი** უპერეტორშკოთ იჯარით მისაცემათ **თელეთის წმინდის გიორგის ეზოში ერთის დუქნისა** თავისის ერთის ოთახითა.

მსურველს აღებისა იმ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (**кандиція**) იმავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ.

(3—1)

---

**მისს უმაღლესობის** სასახლის კანტორა გამოიყვევს მსურველთა იკისროს იჯარით **აშენება** პატარა **სახლისა ყარაიაზში.**

ამ შენობის პლანის ნახვა შეიძლება სასახლის კანტორაში ამ წლის 1 მარტამდინ.

(3—3)

---

**კავკასიის ინჟინერის უპრავლენიეში** ამ წლის 28 თებერვლისათვის დანიშნულია ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ შემდეგი შენობების აგებისა ქალაქს ბათუმში:

1) უნდა აშენდეს სახლი ციხის არტილერიის გამგეობისათვის და აგრეთვე ამ გამგეობის უფროსისათვის, რომლისთვისაც ხაზინისაგან დანიშნულია—26,688 მან. და 16 კაპ.

2) უნდა აშენდეს სახლი საინჟინერო დისტანციის გამგეობისათვის, თვის, რომელშიაც უნდა იქნეს სადგომი გამგეობისა უფროსისათვის და აგრეთვე დროებით ჩამოსუ უფროსებისთვის, დანიშნულია — 26,917 მან. 72 კაპ.

ორივე შენობებისათვის—53,605 მან. და 88 კაპ.

დაწვრილებით პირობების (კანდიციის) ნახვა შეიძლება, უქმ დღეებს გარდა, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2-მდინ.

(3—2)

---

**სავაჭრო სახლი**

**„კნიაზ იოანე კონსტანტინიჩ ბაგრატიონ მუხრანსკი და კ-ო"**

ამით აცხადებს, რომელ შემოტანილს ფულზედ ამა რიცხვიდამ ვიდრე შეცვლამდის

**აძლევს სარგებელსა**

პირველსავე მოთხოვით—3%

ვადით

ექვსი თვით— — — —6%

ერთის წლით — — —7%.

ორის წლით და მეტის —7½%.

გარდა ამისა მეორე რაზრიადის საამხანაგო კვიტანციებზედ

ერთის წლით— —8% და მეტსაც.

---

**საუკუნო**

# კალენდარი

(50 კაპ.) **სიზმრიი ახსნა** (20 კაპ.) და **ასოს სამღერალი** (15 კაპ.).— მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პარტიობითა და თითოობითა მელიძოვის სტამბის ფაქტორის ლუკონინისაგან.

(6—4)

---

18 თებერვლიდამ **ტოლლეს მაღაზიაში** დაიწყობა აჩქარებით **გასყიდვა** ყოველგვარ მოდურ საქონლისა ძალიან ზომიერ ფასად.

---



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

**ბალაგანში**

ცირკის გვერდით, ბუნიბის მაედანზე საზოგადოებას აჩვენებენ

**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**

**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

# ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები

მარკიზი **გენრიხ ვოლგე**

და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

---

**თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტი** სთხოვს საზოგადოების ბატ. წევრთ ამ თებერვლის გასვლამდის შემოიტანონ წარსულის და 1880 წლების საწევრო ფული.

ამ ფულს მიიღებს საზოგადოების ხაზინადარი ვ. დ. თულაშვილი, თბილისის ოლქის სასამართლოში.

(10—8)

---

მრ. ჩარკვიანის
ქართული
წიგნის მაღაზიაში იყიდება

[illegible]

[illegible]

[illegible] 1879 წლის
ფასი 20 კაპ.

---

**სავაჭრო სახლი**

**იაგორ კასუმოვი და კამპანია**

ჰყიდის **შეშას**, რომელიც დაწყობ ბილია ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგზალზე. შეშა არის რცხილისა და ჯანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.